Gift of the United States Government

IOM UN MIGRATION

COVID-19 და მიგრანტთა საჭიროებები სამხრეთ კავკასიაში

პროექტის ტიპი: საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება

განმახორციელებელი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

ხანგრძლივობა: სექტემბერი - დეკემბერი 2020

პროექტს აფინანსებს მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიურო (BPRM)

სამიზნე ჯგუფი:

⇒ უკანონო მიგრანტები

⇒ დაბალი კვალიფიკაციის/დაბალი შემოსავლის მქონე მიგრანტები

⇒ უცხოელი სტუდენტები

⇒ უარყოფილი თავშესაფრის მაძიებლები

წინაპირობა: COVID-19 პანდემიამ მოგზაურობის სერიოზული შეზღუდვები გამოიწვია, რამაც საერთაშორისო მობილობა შეაჩერა და სერიოზულად დათრგუნა ფორმალური და არაფორმალური სამუშაო ბაზრები. შედეგად, ათასობით უცხოელი მიგრანტი სამხრეთ კავკასიაში დაუცველ პირობებში აღმოჩნდა. კერძოდ, გაუარესდა მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობები და აღმოჩნდნენ ენობრივი, სამართლებრივი და სხვა სახის ბარიერების წინაშე, რის გამოც შეეზღუდათ წვდომა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ სერვისებზე.

პანდემიის კონტექსტში მიგრანტების საჭიროებებზე რეაგირების ხელშეწყობისა და დაუცველი მიგრანტებისთვის დახმარების უზრუნველსაყოფად, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეს პროექტი ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს უკანონო, დაუცველ მიგრანტებს (უცხო ქვეყნების მოქალაქეებს) სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, რეგიონში განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

პროექტის კომპონენტები:

კვლევა: IOM განახორციელებს რეგიონულ შეფასებას უკანონო და დაუცველი მიგრანტების ასახვის მიზნით და შეაფასებს COVID-19-ის გავლენას აღნიშნულ ჯგუფებზე, ყოველთვიური ანგარიშების მიწოდებით და საქართველოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში შესაბამისი დაუცველი ჯგუფების სტატუსსა და COVID-19-თან დაკავშირებულ საჭიროებებზე დაყრდნობით მტკიცებულებების გენერირება.

საჯარო ინფორმაციის გავრცელება: IOM გააფართოებს რისკებთან დაკავშირებულ კამპანიებს, რომელთა სამიზნეს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში მცხოვრები უცხოელი მიგრანტები წარმოადგენენ. მიზანმიმართული ინფორმაცია, საგანმანათლებლო საკომუნიკაციო (IEC) მასალები განვითარდება და გავრცელდება შესაბამის ენებზე და მიგრანტებისთვის სასურველი არხებით. აღნიშნული მასალები შეიცავს კრიტიკულ ინფორმაციას ჯანმრთელობის, საიმიგრაციო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესახებ სამიზნე ჯგუფებს შორის. კამპანიები მოიცავს დაუცველ მიგრანტთა იმ ჯგუფებს, რომელთაც არ შეხებიათ სამი ქვეყნის დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელებული სტრატეგიები. კამპანიები განხორციელდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და შესაბამის სამთავრობო ორგანოებთან კოორდინაციით.

პირდაპირი ჰუმანიტარული დახმარება დაუცველი მესამე ქვეყნის მიგრანტებისთვის: IOM ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში მცხოვრებ დაუცველ უცხოელ მიგრანტებსა და ოჯახებს. დახმარება მორგებული იქნება ინდივიდუალურ საჭიროებებზე, IOM-ის საუკეთესო პრაქტიკების მაგალითზე განხორციელებული მკაცრი შეფასების საფუძველზე. დახმარება ითვალისწინებს საცხოვრებელს, პირად დოკუმენტებს, საკვებს/ჰიგიენურ ნივთებს, სამედიცინო და იურიდიულ დახმარებას (მხარდაჭერა ვიზის გახანგრძლივების კუთხით, რჩევა/კონსულტაცია).